პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 აპრილი, შაბათი, 1987 წ.
№ 66 (9477) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# გიხმობთ სპორტული ბაზები, კულტურისა და დასვენების პარკები, ტურისტული ბილიკები...

„ჯანმრთელობის დღე"

ფიზკულტურასა და სპორტთან საყოველთაო დამეგობრების დღეა.

**მობრძანდით, ივარჯიშეთ, იასპარეზეთ, დაისვენეთ!..**

კვირა

**5**

აპრილი

ღონისძიებები ჩატარდება რესპუბლიკის ყველა ქალაქში, რაიონულ ცენტრში, დაბაში, სოფელში, სასწავლებლებში და შრომით კოლექტივებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გთავაზობთ წინადადებას!

## ავაღორძინოთ ხალხური თამაშები

**თბილისის** „დინამოს" სტადიონზე ბევრი კარგი ღონისძიება ტარდება საფეხბურთო მატჩების დაწყებამდე და ტაიმებს შორის შესვენების დროს. ზოგიერთი მოსაწონია, ზოგიერთი — არა. როგორც იტყვიან, „გემოვნებაზე არ კამათობენ". მაგრამ დღეს მე სულ სხვა საკითხზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

ყველამ კარგად ვიცით, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ხალხები რა მოწიწებით ეკიდებიან და უფრთხილდებიან ეროვნულ ტრადიციებს, მათ შორის სპორტის ეროვნულ სახეობებსა და ხალხურ თამაშობებს. ტელევიზიითაც რამდენჯერ გვინახავს სახალხო დღესასწაულად ქცეული შეჯიბრებები სპორტის ეროვნულ სახეობებში და ხალხურ თამაშებში. გულახდილად ვთქვათ, ჩვენ, თუმცა ხალხის წიაღში აღმოცენებული ამდენი თვითმყოფი, მიმზიდველი და უაღრესად საინტერესო თამაშობა გვაქვს, ჯეროვან პროპაგანდას და პოპულარიზაციას ვერ



ვუწევთ ეროვნულ საუნჯეს, რითაც, ცხადია, ცუდ სამსახურს ვუწევთ შთამომავლობას. და აი, მივადექი მთავარ სათქმელს: „დინამოს" სტადიონზე რატომ არ უნდა ვაჩვენოთ მაყურებელს ჩვენი ეროვნული სპორტის სახეობები და ხალხური თამაშები? ალბათ იკითხავთ, კონკრეტულად რა მაქვს მხედველობაში. ყველაფერს არ ჩამოვთვლი, რადგან არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ადგილს და სიტუაციას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მინდორსა და მძლეოსნურ ბილიკებსაც ხომ უნდა გავუფრთხილდეთ. მაგრამ, ვთქვათ, ლახტს, ჭოკით სიგრძეზე ხტომას და გამორბენით ნაბადზე გადახტომაში შეჯიბრებას რა უშლის ხელს? ან იქნებ ტრიბუნების წინ საჭილდაო ქვაც გამოგვეტანა? ლახტი თუ ძლივს გამოვაცოცხლეთ, ჭოკით სიგრძეზე ხტომა, ნაბადზე გამორბენით გადახტომა, საჭილდაო ქვის აწევაში შერკინება ჯერ კიდევ უცხო სანახაობაა ჩვენი საზოგადოებისათვის. რა იქნება იმაზე საამაყო და მნიშვნელოვანი, როცა მივიწყებული სახეობები და თამაშები მაყურებელთა თვალწინ აღორძინდება. მერე იქნებ რესპუბლიკური შეჯიბრებებიც მოვაწყოთ ამ სახეობებისა და თამაშების მრავალჭიდში.

**ვახტანგ ბაქრაძე.**



## იუგოსლაველები თბილისში

**იუგოსლავია (ვაჟები) — საქართველო (ქალები)**

ამ ორი ქვეყნის მოჭადრაკეთა ამხანაგურმა საერთაშორისო მატჩმა რესპუბლიკის ჭადრაკის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. 2 აპრილს, დილით ადრე, ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა იუგოსლავიის დელეგაცია. იმავე დღეს, ქალაქ სმედერევსკა-პალანკას ფირმა „გოშას" წარმომადგენლები შეხვედრაზე მიიწვიეს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელებმა.

გუშინწინ და გუშინ სტუმრები ეცნობოდნენ ჩვენს დედაქალაქს. გუშინვე ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ქალთა და იუგოსლაველ ვაჟთა გუნდებმა გამართეს პირველი შეხვედრა.

**გუშინ** გაიმართა პირველი ტური. რისტიჩმა დაამარცხა ახმილოვსკაია, იოსელიანმა მოუგო ბისლავლევიჩს, ცებალო — ჩიბურდანიძის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

იხ. მე-4 გვ.

## დღესასწაული სახალხო უნდა იყოს

**„ჯანმრთელობის დღის"** აღსანიშნავად კარგა ხანია ემზადებიან ქუთაისში. საქალაქო და რაიონულმა სპორტკომიტეტებმა, განათლების განყოფილებამ, სახლმმართველობებმა, სპორტსაზოგადოებებმა და უწყებებმა შეიმუშავეს ჯანმრთელობის დღისადმი მიძღვნილი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ერთიანი გრაფიკი, რომელიც უკვე გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთებში. 5 აპრილს სიჯანსაღის, სიხალისისა და აქტიური დასვენების სარბიელზე გამოვა ყველა, ასაკისა და პროფესიის განურჩევლად.

ამ სახალხო-სპორტული ზეიმისათვის ქუთაისელთა მზადების შესახებ გვესაუბრება საქალაქო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დავით ფრუიძე:

— ორ წელზე მეტია, რაც ჩვენს ქალაქში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასვენების დღეებში სპორტული ბაზების დატვირთვას, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ყველა ასაკის ადამიანის ჩაბმას. ყოველი კვირის დამდეგს მუშავდება და მტკიცდება დასვენების დღეებში ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც სისტემატურად ქვეყნდება ადგილობრივ გაზეთებში. მართალია, შედეგები თვალსაჩინოა, მაგრამ თავის დამშვიდების უფლება არა გვაქვს, რადგან მასობრი-

იხ. მე-4 გვ.

## შტაბის მორიგ სხდომაზე

**სპორტული** სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების ჩატარების ხელმძღვანელობის შტაბის მორიგ სხდომაზე, რომელიც საქართველოს სპორტსახკომში გაიმართა, განიხილეს ამ ღონისძიების ორგანიზაცია-ჩატარებასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი. კერძოდ, საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ ემზადება „დინამოს" სასროლეთი ტყვიის მსროლელთა შეჯიბრების მასპინძლობისთვის, სად და როგორ იმუშავებს მთავარ მსაჯთა კოლეგია, როგორ სრულდება ადრე მიღებული გადაწყვეტილებები და ა. შ.

შტაბმა პასუხისმგებელი პირები მიამაგრა თითოეულ სპორტულ დელეგაციას.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**2 აპრილს** დაიწყო სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის V ტურის მატჩები. ცსკა-მ თავის მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა ხარკოვის „მეტალისტი".

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ „დინამო" (თბილისი) — „ზენიტი" (ლენინგრადი).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ლანჩხუთის „გურიამ" თავის მინდორზე მიიღო ალმა-ათის „ქაირატი".

ლანჩხუთელებმა საუკეთესოდ ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

სხვა მატჩები:

**„დინამო" კ. — „დნეპრი" 1:2**
**„შახტიორი" — „სპარტაკი" 0:0**
**„ტორპედო" — „დინამო" მ. 2:0**
**„არარატი" — „ჟალგირისი" 1:2**
**„ნეფთჩი" — „დინამო" მნ. 0:0**



**ასეთ** მაღაზიაზე დიდი ხანია ოცნებობდნენ ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარულები. ეს ოცნება ამ დღეებში რეალობად იქცა. თბილისში, ლენინის მოედანზე, იქ, სადაც ადრე საკანცელარიო ნივთების პატარა მაღაზია იყო, გაიხსნა რესპუბლიკაში სპორტული წიგნის პირველი სპეციალიზებული მაღაზია „ისინდი". თაროებზე უხვადაა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე დასტამბული მეთოდური და პოპულარული ლიტერატურა. აქვე იღებენ წინასწარ დაკვეთებს რესპუბლიკურ და საკავშირო გამოცემებზე.

სპორტული წიგნის მაღაზიის გახსნაში გამსახკომთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის სპორტსახკომს და თბილისის სპორტკომიტეტს.

## თათბირ-სემინარი ჩემპიონატის წინ

აპრილის პირველ რიცხვებში თბილისში ჩატარდა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მომსახურე მსაჯების თათბირ-სემინარი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სპორტსახკომის პასუხისმგებელი მუშაკები და ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ლევან ფალავანდიშვილი.

თათბირ-სემინარის მონაწილეებს კალათბურთის წესების სიახლეებზე ესაუბრა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გოგი ავალიშვილი. მანვე გასცა პასუხი მსაჯთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

## „შრომითი რეზერვების" მეშვიდე კონფერენცია

**გაიმართა** სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს VII საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია. „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ა. შენგელია. მოადგილედ — ვ. ბალავაძე.

## ტელეტაიპი - [illegible]

**მეხიკო.** ტყვიის მსროლელთა საერთაშორისო ტურნირში („ბენიტო ხუარესი") წარმატებით ასპარეზობენ საბჭოთა სპორტსმენები. 50 მეტრზე პისტოლეტით სროლაში გამარჯვება მოსკოველმა ბორის კოკორევმა მოიპოვა — 649 ქულა. ამ სახეობაში გუნდური გამარჯვებაც საბჭოთა მსროლელებმა დაისაკუთრეს — 1639 ქულა.

**რიგა.** ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ იგორ კორობჩინსკი და სერგეი რუმბუტისი. ქალთა შორის მრავალჭიდში პირველი ადგილი სვეტლანა ბაგინსკაიამ დაისაკუთრა.

**ლენინგრადი.** აქ ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიშში — „ლენინგრადი-87". მრავალჭიდში გამარჯვება სარანსკელმა ელენე ლუშკინამ მოიპოვა. იგი პირველი იყო თავისუფალ ვარჯიშსა (19,65 ქულა) და დვირზე (19,80 ქულა). ვაჟებში ყველას მოსკოველმა სერგეი ხარკოვმა აჯობა.



რუსთავში ამ დღეებში ჩატარდა საგაზაფხულო კროსი, რომელშიც მეტალურგთა ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

რაულდენ გაბრიჭიძის ფოტო.



## დღეს იწყება ვაჟ კალათბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი

კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ახალი სისტემით ჩატარება ადგილობრივ ხელმძღვანელობასა და სპორტულ ორგანიზაციებს ერთობ საპატიო და პასუხსაგებ ამოცანებს აკისრებს. ამას განსაკუთრებით კარგად ქუთაისში გრძნობენ, სადაც, სხვათა შორის, 60 წლის წინ კალათბურთელთა პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატი ჩატარდა.

ამ დღეებში „ლელოს“ კორესპონდენტი თამაზ ხარაბაძე ესაუბრა სახალხო დეპუტატთა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ვახტანგ ოყრეშიძეს და სთხოვა მას პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

# ღირსების საქმე

● **როგორ ემზადება ქალაქი რესპუბლიკური ჩემპიონატისათვის?**

— ინტერესი ამ ტურნირისადმი ერთობ დიდია. კალათბურთი ჩვენს ქალაქში მუდამ პოპულარობით სარგებლობდა და გადაწყვეტილი გვაქვს ახალ ჩემპიონატს ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური საორგანიზაციო კომისია. ჩვენი უპირველესი ამოცანა ნაკრების დაკომპლექტება იყო და ვფიქრობთ ამ პრობლემას თავი წარმატებით გავართვით.

● **სად, რომელ მოედანზე ჩატარდება რესპუბლიკური ჩემპიონატის მატჩები?**

— მოგეხსენებათ, ქუთაისი სპორტული ბაზების, კერძოდ კი კალათბურთის მოედნების მწვავე ნაკლებობას განიცდის. ამიტომ პირველი შეხვედრები ბავშვთა და მოზარდთა სპორტთამაშების დარბაზში ჩატარდება, სადაც კალათბურთელთათვის ყველა პირობაა შექმნილი. კერძოდ, მზადაა გასახდელები და საშხაპეები. ჩვენ მხოლოდ ის გვაფიქრებს, რომ პირველ მატჩებს ადგილების სიმცირის გამო ცოტა მაყურებელი დაესწრება.

● **მაგრამ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის დიდი დარბაზის რეკონსტრუქცია ხომ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს?**

— დიახ, მაგრამ ეს სახვალიო საქმეა. ორ თვეში სათანადო კაპიტალური რემონტის შემდეგ დარბაზი მწყობრში ჩადგება. უკვე შევიძინეთ მოძრავი საკალათბურთო ფარები, ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობის ქარხანა პოლიპროპილენის სკამებს გვიმზადებს. სრული რეკონსტრუქციის შემდეგ დარბაზში 800-მდე მაყურებელი დაეტევა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საქართველოს სახსპორტკომიტეტის ხელმძღვანელობას ელექტროსაინფორმაციო ტაბლოს შეძენაში დახმარება ვთხოვო. თუ ეს საკითხიც მოგვარდა, ქუთაისში არა მარტო რესპუბლიკური, საკავშირო ტურნირების გამართვაც იქნება შესაძლებელი.

● **რა შეიძლება ითქვას გუნდის დღევანდელ მდგომარეობაზე?**

— ნაკრებს სათავეში ჩაუდგა ჩვენი სასახელო მწვრთნელის სულიკო თორთლაძის აღზრდილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ზაურ დოლაბერიძე. მწვრთნელმა გუნდში მხოლოდ ადგილობრივი სპორტსმენები მოიწვია. ამას ჩვენ პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. მაყურებლებს საშუალება ექნებათ ნახონ სახელმოხვეჭილი გელა დარსაძის თამაშიც, რომელიც რესპუბლიკურ ჩემპიონატში თავისი მშობლიური ქალაქის ღირსებას დაიცავს.

● **რას უნდა ველოდოთ ახლო ჩემპიონატისაგან?**

— პირველ ყოვლისა იმას, რომ ქალაქი დაკარგულ ტრადიციებს დაიბრუნებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენში კვლავაც აღიზრდებიან მაღალი კლასის კალათბურთელები. დიდი სურვილი გვაქვს, ყოველმხრივ დავეხმაროთ რესპუბლიკის მთავარ გუნდს, თბილისის „დინამოს“ აღვუზარდოთ ღირსეული ცვლა. ეს არა მარტო ჩვენი, საქართველოს პირველობაში მონაწილე ყველა გუნდის ღირსების საქმედ მიმაჩნია.

გამოხმაურება წერილზე:

## „სადაც ბანკეტი იმართებოდა“

გულდასმით გავეცანი თქვენი გაზეთის 25 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს „სადაც ბანკეტი იმართებოდა“ და ამ საკითხზე გამოთქმულ ერთმანეთის საწინააღმდეგო ორ აზრს. ჩემი მხრიდან მინდა შემოგთავაზოთ სრულიად სხვა წინადადება. იმ კორპუსის ბოლო, მე-17 სართული, სადაც საბანკეტო დარბაზი და სხვა სათავსებია, შეთავაზონ პირველი სართულის მცხოვრებლებს, მითუმეტეს, რომ ბოლო სართულზე ფართობი გაცილებით მეტია, გაყვანილია ცხელი და ცივი წყალი, გაზი, არის დამხმარე სათავსოები, სანიტარული კვანძი და ა. შ. ასე რომ, პრეტენზიები თითქოს მე-17 სართულზე სპორტული სექციების მუშაობა - გამოიწვევს ხმაურს და მყუდროებას დაურღვევს დაბლა სართულზე მცხოვრებლებს, აღარ იქნება.

მაქვს მეორე წინადადებაც, იქნებ ბგერაგაუმტარი ფენა დავაგოთ XVI და XVII სართულებს შორის.

საცხოვრებელ კორპუსებთან გამაჯანსაღებელი კლუბების გახსნა ძალზე საშური და საჭირო საქმეა, ამიტომ ნებისმიერი შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, ამასთან, ცხადია არც მობინადრეების საცხოვრებელი პირობები უნდა გაუარესდეს.

**ავთანდილ შამუგია.**

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „რატომ გვაყენებენ შეურაცხყოფას?“

ამ სათაურით „ლელოს“ 15 მარტის ნომერში დაიბეჭდა ა. ციბაძის წერილი, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს: წერილში მოყვანილი ფაქტების ირგვლივ 18 მარტს თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის არასაუწყებო დაცვის განყოფილებაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელობის მონაწილეობით ჩატარდა პირადი შემადგენლობის საერთო კრება, შეკრებილებმა იმსჯელეს ამავე განყოფილების კონტროლიორ ხ. გელაშვილის საქციელზე, რომელმაც წელს, 22 თებერვალს, თბილისის შემოგარენში, ნახშირგორის გზაზე, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ტურისტული ჯგუფის წევრებს.

### რედაქციას უპასუხებს შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის სამმართველო

საერთო კრებამ დაგმო ხ. გელაშვილის მოქმედება. იგი განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

შემოწმებით გაირკვა აგრეთვე, რომ ავტომანქანა გაზ-24 № 04-24 ეკუთვნის ხ. გელაშვილის ბიძაშვილს, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მუშას ა. გელაშვილს. ხ. გელაშვილი 22 თებერვალს ამ ავტომანქანას მინდობილობის გარეშე ატარებდა.

ამავე დროს გაცნობებთ, რომ ხ. გელაშვილისა და მისი ოჯახის წევრებზე საავარაკო სახლი არ ირიცხება.

**გ. ინჯია,**
**საქართველოს სსრ შსს არასაუწყებო დაცვის სამმართველოს უფროსი.**




## „მშენებელი“ ლიდერობს

**ქუთაისი. „დინამოს“ სტადიონი. 1 აპრილი. „მშენებელი“ (ქუთაისი) — ეტს (კრასნოიარსკი) 10:6 (4:0).**

**„მშენებელი“: ძაგნიძე; გაბრიჩიძე, ხამაშურიძე, ლიპარტელიანი, ჟორჟოლიანი; გიორგაძე, ლოსაბერიძე; ობოლაძე, ტურძელაძე, ლილუაშვილი, გაბუნია, ოდიშარია, თხელიძე, ნაჭყებია, ნემსიწვერიძე (ფხაკაძე).**

**ეტს: კუპერმანი; სტაროვატოვი, კარპოვი, პატლასოვი, პერვუხინი; ივაშკინი, ნიკოლაევი; კობილკინი, კოველი, ნევოდინი, კისელიოვი, კრიკსა, მალინინი, ხრამოგანი, ბიკბოვი.**

**მსაჯი ვალერი სოკოლოვი (მოსკოვი).**

**გოლები: „მშენებელი“: დამიწება (19, თხელიძე) და 2 საჯარიმო (45, 59, ძაგნიძე). ეტს: საჯარიმო (55, ნიკოლაევი) და არეკნი (74, ივაშკინი).**

მატჩი უაღრესად დაძაბულ, უკომპრომისო ბრძოლაში ჩატარდა. ჩანს, ციმბირელები სერიოზულად მოემზადნენ წლევანდელი სეზონისათვის. განსაკუთრებით გამოირჩეოდა შერკინების ხაზი. თუ იმას გაითვალისწინებთ რომ „მშენებელშიც“ ეს ხაზია ყველაზე ძლიერი, ადვილად წარმოიდგენთ, როგორ წარიმართებოდა მატჩი.

თითქმის ნახევარი ტაიმის მანძილზე მორკინალები ერთმანეთში არკვევდნენ ურთიერთობას და პირველი ქულების მოპოვება მხოლოდ ხელით თამაშისას აღმოჩნდა შესაძლებელი. მე-19 წუთზე სტუმართა 22-მეტრიანი მოედნის მისადგომებთან მშენებლებმა გვერდითი ხაზიდან „დერეფანში“ შეაგდეს ბურთი, რომელსაც თავად დაეუფლნენ, გადაცემაც არ დაუყოვნებიათ და სწრაფად შეცვალეს შეტევის მიმართულება. იერიშში დროულად ჩაერთო მცველი ძაგნიძე, რომელმაც ცრუ მოძრაობით გაარღვია დაცვა და ბურთი მის დასახმარებლად გაჭრილ მესამე ხაზის მოთამაშეს თხელიძეს მიაწოდა, რომელმაც ორ მეტოქესთან ჭიდილში შეძლო ბურთის დამიწება.

სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. ხშირად ინიშნებოდა საჯარიმოები, რომელთა გამოყენება ძლიერი ქარის გამო ძნელდებოდა, თუმცა ძაგნიძემ ორჯერ მაინც იმარჯვა. ხამაშურიძე სოლო გარღვევის დროს 22-მეტრიან ხაზთან წააქციეს და ქუთაისელთა მცველმა ზუსტად დაარტყა, რასაც სტუმრებმა ნიკოლაევის ასევე ზუსტი დარტყმით უპასუხეს. დარჩენილ დროში, მართალია, ბრძოლა გამძაფრდა, მაგრამ მეტოქეებმა მხოლოდ 3-3 ქულის მოპოვება შეძლეს (ძაგნიძე — საჯარიმო, ივაშკინი — არეკნით). ამრიგად, მატჩი ანგარიშით 10:6 მოიგეს ქუთაისელმა რეგბისტებმა, რომლებიც ბოლო სამ ტურში მოპოვებული 9 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში დგანან.

**საქ. კორ.**

ქუთაისი.

## უტევენ ახალბედები

**თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 2 აპრილი.**

**„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „პრიმორეცი“ (ლენინგრადი) 15:9 (12:8).**

**„ლოკომოტივი“: ი. ლეჟავა; ა. ხვედელიძე (მანთიძე, 41), კლდიაშვილი, შერაზადიშვილი, მეტრეველი; ჩიქვინიძე, გაბრიჩიძე; გიორგაძე (ჯინჭარაძე, 47), კაკაბაძე, ბაკურაძე, ხუჟდე, მექვაბიშვილი, ბებიაშვილი, ლუდუშაური, ბასილაშვილი.**

**„პრიმორეცი“: ულიტინი; რიჟკოვი; კისელიოვი, ანდრეევი, ჟოვნერი; ისაკოვი, მამინი; სერგეევი, მოროზოვი, ვლადიმიროვი, კრუგლიკი, ჟურავლიოვი, ნიკოლაევი (პოდობინი, 30), ბოლშაკოვი, ჩერნეგა.**

**მსაჯი ზდისლოვას გვოზდინსკასი (კაუნასი).**

**გოლები: „ლოკომოტივი“: 2 დამიწება (9, ხვედელიძე; 17, მეტრეველი), 2 რეალიზაცია და 1 საჯარიმო (68) — ლეჟავა. „პრიმორეცი“: არეკნი (23) და დამიწება (41) რეალიზაციითურთ — ისაკოვი.**

ამჯერად „ლოკომოტივმა“ სძლია მეტოქეს, რომელმაც თბილისში ჩამოსვლამდე სამივე მატჩი წააგო საერთო ანგარიშით 4:48. თუ თბილისელებს მაინც გაუჭირდათ სტუმართა დამარცხება, ეს, პირველ ყოვლისა, შეხვედრის დასაწყისში იოლად მოსული წარმატების ბრალი იყო. დიახ, 17 წუთში მასპინძლები 12 ქულით დაწინაურდნენ. მეტოქის კარის ხაზიდან 5 მეტრში დანიშნული შერკინებიდან მოკლე ფრთაზე წამოწყებული შეტევები განაპირა სამმეოთხედელებმა ორჯერ ლელოს გატანით დაამთავრეს. იმ წუთებში ჩვენები მართლაც რომ აღმავლობით თამაშობდნენ, „პრიმორეცი“ კი უსუსურად გამოიყურებოდა. მისი მოთამაშეები ელემენტარულ სათამაშო სიტუაციებში შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ. სამწუხაროდ, სტუმართა განწყობილება მალე „ლოკომოტივსაც“ „გადმოედო“ და იგი მატჩის მეორე ნახევარში მეტოქეს შეცდომების დაშვებაში „გაეჯიბრა“. თუმცა ამ მატჩში თბილისელები საყვედურს არ იმსახურებენ. თავისი საიერიშო შესაძლებლობანი წარმოაჩინა სამმეოთხედელთა ხაზმა. ამჯერად ბევრად უკეთ ითამაშეს ნახევარმცველებმა — ისინი გუნდის ნამდვილ წინამძღოლებად მოგვევლინნენ. ახალბედა ლევან ჩიქვინიძე ამჩნევდა რა მეტოქის უკანა ხაზების სისუსტეს, მაღალი დარტყმებით ბურთს ხშირად ფრთის სამმეოთხედელებისკენ გზავნიდა. რაც შეეხება „ლოკომოტივის“ მეორე ახალბედას, მცველ ირაკლი ლეჟავას, იგი ამჯერად შესანიშნავ მოიერიშედ იქცა, თუმცა თავის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას — კარში დარტყმას მთლად კარგად ვერ გაართვა თავი: მართალია, შეაგდო ორი უძნელესი რეალიზაცია და უკანასკნელი საჯარიმოც, რითაც მატჩის მოგება უზრუნველჰყო, მაგრამ სამაგიეროდ 6 (!) საჯარიმო დარტყმა მეტოქის კარს ააცდინა.

ასე იყო თუ ისე, „ლოკომოტივის“ ახალბედებმა დაგვარწმუნეს, რომ უკვე საკმაო ძალას წარმოადგენენ გუნდისათვის. მათი შემწეობით გუნდი, უეჭველია, მყარად დადგება ფეხზე.

**ზაალ ბიბინეიშვილი.**

● ● ●

მეორე და მესამე ტურების სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ასკ (ალმა-ათა) — „სლავა“ (მოსკოვი) 3:4, ასკ — „ფილი“ (მოსკოვი) 6:6, „ავიატორი“ (კიევი) — „სლავა“ 9:7, „ელექტრომაში“ (ტირასპოლი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 7:6.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 3 აპრილისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მშენებ.“ (ქ) | 4 | 3 | 0 | 1 | 10 | (—2) |
| სსა (მონინო) | 3 | 3 | 0 | 0 | 9 | (0) |
| „ავიატორი“ (კ.) | 3 | 3 | 0 | 0 | 9 | (0) |
| „ელექტრომაში“ | 3 | 3 | 0 | 0 | 9 | (0) |
| „ლოკომ.“ (თბ.) | 4 | 2 | 0 | 2 | 8 | (—4) |
| „სლავა“ (მ.) | 3 | 2 | 0 | 1 | 7 | (—2) |
| ასკ (ალმა-ათა) | 3 | 1 | 1 | 1 | 6 | (—3) |
| ეტს (კრასნ.) | 4 | 1 | 0 | 3 | 6 | (—6) |
| „ლოკომ.“ (მ.) | 3 | 1 | 0 | 2 | 5 | (—4) |
| „ფილი“ (მ.) | 3 | 0 | 1 | 2 | 4 | (—5) |
| „პრიმორ.“ (ლ.) | 4 | 0 | 0 | 4 | 4 | (—8) |
| „შევარ.“ (თბ.) | 3 | 0 | 0 | 3 | 3 | (—6) |

## ხუთჭიდელთა ზონალური

**თბილისის** სპორტულ ბაზებზე ჩრდილო და ამიერკავკასიის სპორტსმენთა მონაწილეობით ჩატარდა პირადი ზონალური პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში, რომელშიც ჭაბუკებმა იასპარეზეს.

შეჯიბრების ფინიში დრამატული გამოდგა ლიდერ ვლადიმერ ლორთქიფანიძისათვის. საქართველოს



ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ოთხი სახეობის (ფარიკაობა, ცურვა, სროლა, რბენა) შემდეგ 4252 ქულით დაწინაურდა და 26 ქულით უსწრებდა თანაგუნდელ ნოდარ შანოიანს, მაგრამ ბოლო სახეობაში — საცხენოსნო კონკურში ლიდერმა ცხენი ვერ დაიმორჩილა და შეფასების გარეშე დარჩა. თბილისის მე-80 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ნ. შანოიანმა კი ამ სახეობაში 1070 ქულა მიიღო. შანოიანს 5296 ქულა დაუგროვდა და გამარჯვებაც მას დარჩა. მეორე ადგილზე გავიდა დონის როსტოვის წარმომადგენელი სერგეი ბიკოვი (5194), მესამეზე—ერევნელი სარქის აკოფიანი (5054).

### სკოლა-ინტერნატების მეცხრე რესპუბლიკური სპარტაკიადა

# ორგანიზებულად და საინტერესოდ

სკოლა-ინტერნატების IX რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობას კალათბურთში კარგად მომზადებული შეხვდა № 4 საშუალო სკოლა (დირექტორი ცისანა კერძევაძე). დირექციამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ეს შეჯიბრება ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩაეტარებინა.

8-წლიანი სკოლა-ინტერნატების შეჯიბრებაში გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის გუნდმა (მწვრთნელი რევაზ ყურშუბაძე), მეორე ადგილზე განთიადის № 2 სკოლის წარმომადგენლები გავიდნენ, მესამეზე—ლაგოდეხის სკოლა-ინტერნატის გუნდი. ბიჭებში საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს მახუცეთის (მწვრთნელი ნოდარ ხალვაში), ლაგოდეხის და „განთიადის“ № 2 სკოლა-ინტერნატების მოსწავლეებმა.

საშუალო სკოლა-ინტერნატების გუნდებს შორის ადგილები ასე განაწილდა: გოგონებში ყველას ბროწეულელებმა აჯობეს (მწვრთნელი ჟენია ფხაკაძე), მეორე ადგილზე დუშელები გავიდნენ, მესამე იყო ხულოს სკოლა-ინტერნატის გუნდი.

ბიჭებში თავი გამოიჩინეს და შესაბამისად პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს თბილისის (მწვრთნელი მერაბ ობოლაძე) და ქუთაისის სკოლა-ინტერნატების გუნდებმა, მესამე ადგილი წილად ხვდა ხულოს ინტერნატის მოსწავლეებს.

შეჯიბრებაზე ფიზიკურად და ტექნიკურად კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს თბილისის, ქუთაისის (ვაჟები) და ბროწეულას (გოგონები) ინტერნატებმა.

**ზურაბ დარჩია,**
**განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სასპორტო სკოლის ინსტრუქტორ-მეთოდისტი.**

ფეხბურთი

# ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში

**ამ დღეებში შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები.**

**როგორც** ვიტყობინებოდით, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა იმსჯელა მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში (უმაღლესი და პირველი ლიგები) ფრეთა ლიმიტის თაობაზე. არსებული დებულების შესაბამისად და სსრ კავშირის სპორტის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით 1987 წლის სეზონში ფრეთა ლიმიტი შენარჩუნებული იქნება (10—უმაღლეს ლიგაში, 12 — პირველ ლიგაში), 1988 წლის სეზონისთვის ეს საკითხი განიხილება ხელახლა.

**ფედერაციამ** გაითვალისწინა, რომ სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში გამოდის მოსკოვის „დინამოს" ხუთი, ხოლო „ტორპედოს" ოთხი ფეხბურთელი, ამიტომ საკავშირო ჩემპიონატის მატჩები „დინამო" (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი), აგრეთვე, „ტორპედო" (მოსკოვი) — „შახტიორი" (დონეცკი) 13 აპრილიდან გადაიტანა. ამ შეხვედრათა თარიღები გამოცხადდება ცალკე.

**დნეპროპეტროვსკის** „დნეპრისა" და კიევის „დინამოს" პირველი წრის კალენდარული მატჩი უნდა ჩატარებულიყო დნეპროპეტროვსკში, ამ კლუბების ორმხრივი შეთანხმებით პირველი მატჩი ჩატარდება კიევში, ხოლო მეორე ტურისა — დნეპროპეტროვსკში. გარდა ამისა, კიევის დინამოელები 8 აპრილს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში შეხვდებიან პორტუგალიის „პორტუს". ამის გამო კიევის „დინამო" საკავშირო ჩემპიონატის კალენდარულ მატჩს დონეცკის „შახტიორთან" დონეცკში ჩაატარებს არა 7 აპრილს, არამედ **6 მაისს.**

**საკავშირო** ფედერაციამ გამოაქვეყნა სსრ კავშირის ჩემპიონატის უახლოესი მატჩების მსაჯთა და ინსპექტორთა სია.

**6 აპრილს** ლანჩხუთის „გურიისა" და ლენინგრადის „ზენიტის" შეხვედრის მსაჯია ხარკოველი ი. სერგიენკო, ინსპექტორი — ე. ლიადინი (მოსკოვი).

**7 აპრილს** თბილისის „დინამოსა" და ალმა-ათის „ქაირათის" შეხვედრას იმსაჯებს ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი), ინსპექტორია მ. პინსკი (ხარკოვი).

**12 აპრილს** თამაშობენ „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „დინამო" (თბილისი). მსაჯია ვ. ლისენკო (ოდესა), ინსპექტორი — მ. ყიხარევი (მოსკოვი). მინსკის „დინამოსა" და ლანჩხუთის „გურიის" მატჩს ამავე დღეს იმსაჯებს ტომსკელი არბიტრი ნ. იუროვი, ინსპექტორია ა. კადეტოვი (მოსკოვი).

თბილისელი არბიტრი ა. კოკაია 12 აპრილს იმსაჯებს ხარკოვის „მეტალისტისა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" მატჩს.

**დამტკიცდა** საექსპერტო კომისიის შემადგენლობა, ეს კომისია უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს მატჩებში მომხდარ ყველა იმ სპორტული ხასიათის დარღვევაზე, რომლებსაც მოჰყვება შეჯიბრების შედეგების დამახინჯება. საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: ბ. შუმილინი (თავმჯდომარე), ლ. იაშინი (თავმჯდომარის მოადგილე), გ. კაჩალინი, ლ. ლებედევი, ი. ნეტო, ი. ნირკოვი, ა. პარამონოვი, ნ. სიმონიანი, ა. ტაბაკოვი, ვ. შუსტიკოვი და მ. იაკუშინი.

**საგანგებოდ** იმსჯელეს მიმდინარე საიუბილეო ჩემპიონატის პირველ ტურებში არბიტრთა მიერ დაშვებულ შეცდომებზე. საექსპერტო კომისიამ ფეხბურთის სამმართველოს მუშაკებთან ერთად განიხილა „ზენიტისა" და ცსკა-ს, აგრეთვე, კიევის „დინამოსა" და „ნეფთჩის" მატჩებში მსაჯთა მიერ დაშვებული შეცდომების საკითხი. უდავოდ დამტკიცდა ომსკელი მსაჯის ვ. კუზნეცოვის აშკარა შეცდომა, როცა მან ცსკა-ს კარში უსამართლო 11-მეტრიანი დანიშნა. რაც შეეხება მინსკელი არბიტრის ვ. ჟუკის მიერ „ნეფთჩისთან" შეხვედრაში მესამე პენალტის დანიშვნის საკითხს, კომისიის წევრთა მოსაზრებანი გაიყო.

ფედერაციის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა ვ. კუზნეცოვი და ვ. ჟუკი გაათავისუფლოს საკავშირო ჩემპიონატის უახლოესი მატჩების მსაჯობიდან, კიდევ ერთხელ განიხილოს კიევის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფთჩის" მატჩის ვიდეოჩანაწერი ფეხბურთის ფედერაციის სხვა კომისიების წარმომადგენლებთან ერთად, თავისი დასკვნა წარმოადგინოს მსაჯთა საკავშირო კოლეგიამაც. პრეზიდიუმი თავის გადაწყვეტილებას გამოიტანს მხოლოდ ამის შემდეგ.

**თურქეთის** ქალაქ იზმირში 15 აპრილს შედგება ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირის მატჩი თურქეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის ა. ბიშოვეცის წინადადებით დაამტკიცეს ამ მატჩის 18 კანდიდატის სია. მათ შორის არიან: დ. ხარინი, ს. პრიგოდა, ი. სავიჩევი, ნ. სავიჩევი („ტორპედო", მოსკოვი), ა. პრუდნიკოვი, ვ. ლოსევი, ი. დობროვოლსკი, ი. სკლიაროვი, ა. ბოროდიუკი („დინამო", მოსკოვი), ა. აფანასიევი, ს. დმიტრიევი („ზენიტი"), ვ. ლიუტი, ვ. ტიშჩენკო („დნეპრი"), ვ. ბროშინი (ცსკა), ე. იაროვენკო („ქაირათი"), ა. მიხაილიჩენკო („დინამო", კიევი), გ. კეტაშვილი („დინამო", თბილისი) ა. ვორობიოვი (ასკ, დონის როსტოვი).

## დუბლიორთა მატჩები

2 აპრილს შედგა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების (V ტური) შეხვედრები.

თბილისის „დინამო" და ლენინგრადის „ზენიტი" ერთმანეთს მცხეთის სტადიონზე შეხვდნენ. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2, დინამოელთაგან ორივე ბურთი მიქაშავიძემ გაიტანა.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ქოჩიაშვილი, ფირცხალავა, ოსიპოვი, ცვეიბა, წიკლაური, თედეევი, გოგრიჭიანი, ჟორდანია, ქეცბაია, გურული (ჯიშკარიანი), მიქაშავიძე.

ლანჩხუთის „გურიასა" და ალმაათის „ქაირათის" შეხვედრა დამთავრდა ლანჩხუთელთა გამარჯვებით — 3:0.

## ევროპის ჩემპიონატი

**განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ევროპის მომავალი ჩემპიონატის 5 შესარჩევი მატჩი.**

**I ჯგუფი**

**ვენა.** ავსტრიელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე ანგარიშით 2:3 წააგეს ესპანეთის ნაკრებთან. გამარჯვებულთაგან 2 ბურთი გაიტანა ელოიმ, ერთი — კარასკომ, ხოლო ავსტრიელთა გოლები — ლინცმაიერმა და პოლსტერმა.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-3 | 6 |
| რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9-2 | 4 |
| ავსტრია | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 2 |
| ალბანეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-10 | 0 |

**IV ჯგუფი**

**ბელფასტი.** ჩრდილოეთ ირლანდიისა და ინგლისის გუნდების შეხვედრაში აშკარა უპირატესობა ინგლისელთა მხარეს იყო, მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. გოლები: რობსონი, უოდლი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 6 |
| იუგოსლავია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 2 |
| თურქეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |
| ჩრ. ირლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 0-5 | 1 |

**VI ჯგუფი**

**რექსჰემი.** უელსის ფეხბურთელებმა იოლ გამარჯვებას მიაღწიეს ფინეთის ნაკრებთან შეხვედრაში — 4:0. გოლები: რაში, ჰოჯესი, ფილიპსი, ჯონსი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 3 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 3 |
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 3 |
| ფინეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-9 | 1 |

**VII ჯგუფი**

**ბრიუსელი.** შოტლანდიელმა ფეხბურთელებმა ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ბელგიელებს, მასპინძლებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 4:1. 3 ბურთი გაიტანა კლასენმა, ერთი — ვერკოტერენმა. შოტლანდიელთაგან ერთი ბურთი გაქვითა მაქსთეიმ.

**სოფია.** ბულგარეთის ნაკრებმა წარმატებას მიაღწია ირლანდიის გუნდთან შეხვედრაში და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. ბულგარელთაგან ბურთები გაიტანეს სადკოვმა და ტანევმა, ირლანდიელთაგან — სტეპლტონმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 4 | 2 | 2 | 0 | 13-4 | 6 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 4 |
| ირლანდია | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 4 |
| შოტლანდია | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 4 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-9 | 0 |

# I ლიგა იწყებს...

**დღეს იწყება I ლიგის ფეხბურთელთა 1987 წლის საკავშირო პირველობის გათამაშება. პირველ ტურში ჩვენი რესპუბლიკის გუნდები შინ თამაშობენ: ქუთაისის ტორპედოელები მიიღებენ ოდესის „ჩერნომორეცს", ხოლო ბათუმის დინამოელები — ლვოვის ასკ „კარპატის".**

## საგანაცხადო სიები

## „ტორპედო" (ქუთაისი)

**გუნდის უფროსი** — სპორტის ოსტატი რ. ბურკაძე.

**უფროსი მწვრთნელი** — შ. ოქროპირაშვილი.

**მწვრთნელი** — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ჯ. ხერხაძე.

**მეკარეები** — გ. მიქაძე (1965 წელს დაბადებული), ჯ. ტყებუჩავა (1959), ნ. ჩხეიძე (1968).

**მცველები** — ი. ბზიკაძე (1963), გ. გიგატაძე (1964), დ. პაპავა (1968), ს. ფრუიძე (1957), ც. სოხაშვილი (1967), გ. თევზაძე (1964), გ. ცისკარიშვილი (1965), ნ. ჭელიძე (1964).

**ნახევარმცველები** — ვ. ფესტვენიძე (1963), ნ. თვარაძე (1960), მ. ხუნდაძე (1966), ვ. შენგელია (1963).

**თავდამსხმელები** — ი. გოგელიძე (1969), ა. კვერნაძე (1958), მ. მანაგაძე (1965), გ. ტყავაძე (1966), გ. ხარაბაძე (1961).

## „დინამო" (ბათუმი)

**გუნდის უფროსი** — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ა. კვაჭაძე.

**უფროსი მწვრთნელი** — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ვ. ჩხარტიშვილი.

**მწვრთნელები** — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი თ. ცინარიძე, მ. ჩიჩუაძე.

**მეკარეები** — ა. ბალაძე (1960), გ. კუცია (1964).

**მცველები** — ა. ანდღულაძე (1957), მ. არზიანი (1964), ა. გოგიტიძე (1964), ტ. დურდიაძე (1959), მ. მაისურაძე (1959), გ. ჩიქოვანი (1962).

**ნახევარმცველები** — ა. ათუაშვილი (1963), ლ. ბარათაშვილი (1964), ა. გორგილაძე (1955), რ. თორღაშვილი (1964).

**თავდამსხმელები** — ი. ვლასენკო (1958), გ. ზედანია (1961), თ. ქინქლიაშვილი (1964), პ. მაჭუტაძე (1964), დ. უგრელიძე (1964), რ. შელია (1956).

## „ცოდვილი" მსაჯები

...პორტუგალიის საფეხბურთო თასის გათამაშებაში დანიშნული იყო მატჩი ქ. კვილიას „სპორტინგსა" და მინიუს „ვიერას" შორის, მაგრამ თამაშის დაწყების დრო ახლოვდებოდა, არბიტრი კი არ ჩანდა. მატჩის ორგანიზატორები დილიდანვე დაეძებდნენ მსაჯს და, ბოლოს, როგორც იქნა, აღმოაჩინეს, იგი თურმე, ქალაქ პორტუს პოლიციის განყოფილების სატუსაღოში იჯდა.

არბიტრი, მანუელ დიაშ დუშ სანტუში, ბოროტმოქმედთა დიდი საერთაშორისო ბანდის წევრი აღმოჩნდა, ეს ბანდა სისტემატურად ძარცვავდა ბანკებს, კერძო ბინებს, ახდენდა ტერორისტულ აქციებს. პორტუგალიის ცნობილი საფეხბურთო კლუბის „პორტუს" ყოფილმა ხელმძღვანელმა ჟერენიაშ ნევიშმა, რომელსაც შემდგომში პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ეკავა, პროტექცია გაუწია მ. დიაშ დუშ სანტუშს ხე-ტყის მრეწველობის რომელიღაც კომპანიის ადმინისტრაციასთან სამსახურში მოწყობის თაობაზე. ბოროტმოქმედმა აქ გულდასმით დააზუსტა ბანკიდან კომპანიაში ფულის გადაზიდვის გრაფიკი. ფულის გადაზიდვის დრო შეატყობინა ბანდის ხელმძღვანელობას, ბანდიტებმაც დაახლოებით 30 მილიონი ესკუდო გაიტაცეს.

პორტუგალიის პოლიციამ შეძლო ბოროტმოქმედთა მხილება, მათ შორის ფეხბურთის მსაჯიც აღმოჩნდა.

ფეხბურთის მსაჯის პიროვნებასთანაა დაკავშირებული სხვა შემთხვევაც, რომელიც კოლუმბიის ქალაქ მედელინში მოხდა. აქ მიმდინარეობდა ქალაქის პირველობის მატჩი, ერთ-ერთმა მოთამაშემ ბრალი დასდო არბიტრს, რომ იგი უპატიოსნოდ სჯიდა თამაშს, კერძოდ, უსამართლოდ დანიშნა საჯარიმო დარტყმა. გაავთრებული მსაჯი გაიქცა გასახდელში, ჩემოდნიდან ამოიღო იარაღი და პროტესტანტი ფეხბურთელი სიცოცხლეს გამოასალმა.

სანამ სტადიონზე არეულობა სუფევდა, არბიტრმა მოასწრო მიმალვა. როგორც კოლუმბიის გაზეთი „ესკასიო" იტყობინება, პოლიცია ახლაც ეძებს ბოროტმოქმედ მსაჯს.

## ოთხ ენაზე

**ფიფამ** ოთხ ენაზე — ინგლისურად, ფრანგულად, ესპანურად და გერმანულად გამოსცა დიდი წიგნი, რომელიც მსოფლიოს 1986 წლის საფეხბურთო ჩემპიონატს ეძღვნება. 240 გვერდი ეთმობა ამ ჩემპიონატის ყველა მატჩის აღწერას. წიგნს, რომელიც უხვად არის ილუსტრირებული, შვიდი ავტორი ჰყავს: ფეხბურთის სამყაროში კარგად ცნობილი მწვრთნელები და ჟურნალისტები ერიხ ფოგელი (შვეიცარია), ჟოზე ბონეტი (ბრაზილია). დეტმარ კრამერი (გფრ), ტერი ნეილი (ინგლისი), ენდი როქსბერი (შოტლანდია), ივან ტოპლაკი (იუგოსლავია) და იოჟეფ ვენგლოში (ჩეხოსლოვაკია).

## მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავები

# პასარელა

**დანიელ** ალბერტო პასარელა ახლა 33 წლისაა. მას შემდეგ, რაც არგენტინის ნაკრები 1978 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ეს გამოჩენილი ოსტატი ფეხბურთის სამყაროში დიდი პოპულარობით სარგებლობს. აი, ნაწყვეტი მისი ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუდან.

● **რომელი მწვრთნელებისგან ხართ დავალებული თქვენი საფეხბურთო საქმიანობის დასაწყისში?**

— პირველად რაულ ჰერნანდერსმა მომაქცია ყურადღება, რომელსაც საფეხბურთო ტალანტების აღმოჩენის სახელი ჰქონდა. შემდეგ მავარჯიშებდა არგენტინის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ნესტორ როსი, ქვეყნის ნაკრებში კი პირველად ომარ სივორიმ მიმიწვია.

● **რომელ კლუბებში თამაშობდით?**

— დავიწყე ბუენოს-აირესის პროვინციის პატარა კლუბ „ხაკაბუკოში". შემდეგ „სარმიენტოში" გადავედი. ევროპაში გამგზავრებამდე „რივერ პლეიტში" გამოვდიოდი, შემდეგ—იტალიის „ფიორენტინაში".

● **რა განსხვავებაა არგენტინულ და იტალიურ ფეხბურთს შორის?**

— არგენტინაში ფეხბურთი უფრო სანახაობაა, იტალიაში კი იგი მეტწილად საბრძოლო ხასიათს ატარებს.

● **მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში არ გითამაშიათ...**

— დიახ, ავად გავხდი. დიდად გავიხარე, როცა არგენტინელებმა კვლავ გაიმარჯვეს.

● **ვინ არის, თქვენი აზრით, ამჟამად უძლიერესი თავდამსხმელი იტალიის ლიგაში?**

— ალტობელი და ჯორდანო.

● **საერთოდ?**

— რა თქმა უნდა, პელე.

● **ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში ყველაზე მეტად რომელი გუნდი მოგეწონათ?**

— დანიის ნაკრები. ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდა, იგი გაცილებით უკეთეს ადგილს დაიკავებდა.

● **როგორ ფიქრობთ, წინ მიდის ფეხბურთი თუ არა?**

— ამას ვერ ვიტყვი, თუნდაც, მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის შემდეგ...

**მოამზადა ბიჭი თორელმა.**



## პოეტი მეკარე

საფრანგეთის პროფესიული კლუბის „სენ ჟერმენისა" და ეროვნული ნაკრების მეკარე ჟოელ ბატსი ცნობილი პიროვნებაა საერთაშორისო ფეხბურთში, მაგრამ მას, თურმე, სხვა ტალანტიც ჰქონია.

როგორც საფრანგეთის გაზეთები იუწყებიან, ცნობილი მეკარე თავისუფალ დროს ლექსებს თხზავს. ამას წინათ გამოვიდა მისი წიგნი „ჩემი ცხოვრების დღიური", რომლის 53 ათასი ეგზემპლარი უკვე გაიყიდა, ახლა მზადდება ამ წიგნის მეორე გამოცემა.

## ახალი „ლეგიონერი"

ცნობილი გახდა, რომ მილანის „ინტერი" იტალიური წარმოშობის ბელგიელი ფეხბურთელის ვინჩენცო შიფოს ყიდვას აპირებს. როგორც ბელგიის გაზეთები იუწყებიან, მოლაპარაკება „ინტერსა" და „ანდერლეჰტს" შორის პრაქტიკულად დამთავრებულია და მომავალ სეზონში შიფო იტალიის ლიგაში მოთამაშე უცხოელი „ვარსკვლავების" მრავალრიცხოვან არმიას შეემატება.

# დღესასწაული სახალხო უნდა იყოს!

დასასრული

ობის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს მოსაგვარებელი. ჯანმრთელობის ეს ტრადიციული დღესასწაული ჩვენი საქმიანობის შეფასების საუკეთესო საშუალება იქნება.

ბუნებრივია, წლევანდელი დღესასწაულისთვის საგულდაგულოდ ვემზადებით;

ჯანმრთელობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ერთი დღით ადრე, 4 აპრილს დაიწყება, რადგან ჩვენს ქალაქში შაბათი ტრადიციულად სპორტული დღეა, თანაც ამ დღეს იწყება პირველი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობა და რესპუბლიკის ჩემპიონატი კალათბურთში, რომელთაც მოუთმენლად ელიან ქუთათურები. სპორტის მუშაკები მოვალენი ვართ საინტერესო ღონისძიებები შევთავაზოთ მათ.

5 აპრილს კი გვინდა ქალაქი ერთ დიდ სპორტულ სარბიელად ვაქციოთ, დავტვირთოთ არა მარტო ბაზები და სპორტული მოედნები, არამედ გარეუბნები, დასვენების ზონები, ყველა ბაღი და სკვერი.

ქალაქის ცენტრში, ცნობილ „ბაღის კიდეზე" გაიმართება საქალაქო პირველობა ქართულ ჭიდაობაში ბაში-აჩუკის პრიზზე. იქვე მოეწყობა მასობრივი შეჯიბრებები, ერთდროული თამაშების სეანსები ჭადრაკში, შაშში...

პიონერთა პარკი მასობრივი გარბენის მონაწილეებს უმასპინძლებს, ცენტრალურ საცურაო აუზში კი მშდ ნორმატივებს ჩააბარებენ საწარმო-დაწესებულებების წარმომადგენლები.

ამ დღეს სპორტსაზოგადოება „განთიადის" ინიციატივით დაიწყება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადა, რომელშიც ამიერკავკასიის დაძმობილებული ქალაქების ქუთაისის, კიროვაბადისა და ლენინაკანის სპორტსმენები მიიღებენ მონაწილეობას. სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები 7 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ახლახან ქუთაისში საფუძველი ჩაეყარა საცხენოსნო სპორტის განვითარებას. 5 აპრილს ჩატარდება საჩვენებელი გამოსვლები, მსურველებს ამ დღეს შეეძლებათ ცხენზე ამხედრება.

ქალაქის უბნებსა და ქუჩებში მოეწყობა შეხვედრები მინიფეხბურთში, ფეხბურთში; ბალახის ჰოკეისტები გამართავენ საჩვენებელ გამოსვლებს.

ტურისტები სეზონის გახსნას იზეიმებენ, მოეწყობა შრომითი ბრიგადების დასკვნითი პაექრობა, გაგრძელდება საქალაქო კონკურსი ყველაზე სწრაფი მოსწავლე მორბენლის გამოსავლენად. ერთი სიტყვით, გვინდა ჯანმრთელობის დღე სახალხო სპორტულ დღესასწაულად ვაქციოთ. თუ ამინდმა ხელი შეგვიწყო, ასეც იქნება.

**თამაზ კოლხიდელი,**
**„ლელოს" საკ. კორ.**
ქუთაისი.

# ვიდრე მატჩი დაიწყებოდა...

**გუშინ** დიდი გამოცოცხლება იყო თბილისის ჭადრაკის სასახლეში — გაიხსნა უპრეცედენტო მატჩი: იუგოსლავია (ვაჟები) — საქართველო (ქალები). ასეთი შეხვედრა არ ახსოვს საჭადრაკო სამყაროს.

**დუშან რაიკოვიჩი** — საერთაშორისო დიდოსტატი: ვფიქრობ, ქალები უკვე ისე თამაშობენ ჭადრაკს, რომ გამოთქმა „ქალთა და ვაჟთა ჭადრაკი" წარსულს უნდა ჩაბარდეს. გაიხსენეთ, ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის ბრწყინვალე გამოსვლები ვაჟთა ტურნირებში. სხვათა შორის, ამ რამდენიმე წლის წინ ნონასთან მეც დავმარცხდი ბანიალუკას ტურნირში. ამიტომაც, გაუჩნდა ჩვენი ფირმის პრეზიდენტს ასეთი მატჩის მოწყობის იდეა.

საერთაშორისო ოსტატი **მომჩილო დესპოტოვიჩი** მეორედაა საქართველოში. 1966 წელს სოხუმში გამართულ სსრ კავშირ — იუგოსლავიის მატჩში მიიღო მონაწილეობა. მას შემდეგ ორი ათეული წელი გავიდა. თქვენი აზრით, რა მისცა ამ წლებმა ქართულ ჭადრაკს — ვკითხეთ სტუმარს.

—ო, ამ წლებით ჭეშმარიტად „ოქროს ხანა" იწყება ქართულ ჭადრაკში. მაშინ მე მხოლოდ გაფრინდაშვილი ვიცოდი, ალექსანდრია ის-ის იყო სახელს ითქვამდა, ახლა კი... ქალების მთელი თანავარსკვლავედი გყავთ...

**ბრანისლავ მილანოვიჩი** კლუბ „გოშას" ვიცე-პრეზიდენტია.

— ჩვენი ქალაქი ბელგრადიდან 70 კილომეტრითაა დაცილებული, — თქვა მან. ჩვენს საწარმოში სხვა პროდუქციასთან ერთად კომპიუტერებიც მზადდება. წინათ „ელოს" რეიტინგებს ამერიკის ერთ-ერთი ფირმა ითვლიდა, ახლა ფიდე-მ ეს საპატიო მისია ჩვენ დაგვაკისრა.

წლეულს იუბილე გვაქვს — ჭადრაკმა ორმოცდაათი წლის წინ „შემოაღო" ჩვენი ფირმის კარი და მოხარული ვართ, რომ ეს მატჩი ამ თარიღს დაუკავშირდა.

შარშან ჩვენმა ვაჟებმა იუგოსლავიის ჩემპიონობა მოიპოვეს და ახლა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის ვემზადებით. ეს მატჩიც ამ ტურნირისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია.

**⊙ რას იტყვით უშუალოდ შეხვედრებზე?**

— ჩვენ დასამარცხებლად არ ჩამოვსულვართ, მაგრამ საქმე ისაა, რომ სხვაგვარად არც თქვენი მანდილოსნები ფიქრობენ.



## თბილისის მრავალდღიანი ველორბოლა

# ისე, როგორც მეორე ეტაპზე

**თბილისის** მრავალდღიანი საერთაშორისო ველორბოლის მეოთხე ეტაპი, ფაქტიურად, მეორის გამეორება იყო. სტარტი — თბილისში, მობრუნება — ანანურის მიდამოებში და ფინიში ჯვრის მონასტრის მისადგომებთან, აღმართზე. დისტანციის სიგრძე ამჯერადაც 136 კილომეტრი გახლდათ. ეს იყო მხოლოდ: მეორე ეტაპი წვიმიან და სუსხიან ამინდში ჩატარდა, ამჯერად კი დარი იდგა.

მთავარი ბრძოლა მეოთხე ეტაპზეც ფინიშის მისადგომებთან გაიმართა (ჯვრის მონასტრისკენ მიმავალი აღმართი ამის საშუალებას იძლევა). სხვა მხრივ მთელს დისტანციაზე სიმშვიდე სუფევდა, თუმცა მონაწილეებმა ერთი-ორჯერ ბრძოლის გამწვავება მოინდომეს.

პირველად რბოლის რიტმის დარღვევა „კოლმეურნის" წარმომადგენლებმა ხვიჩა ბარბაქაძემ და ნუკრი კაკალაშვილმა სცადეს. ეს მოხდა სტარტის აღების შემდეგ. ვინ იცის როგორ წარიმართებოდა ბრძოლა, კაკალაშვილს ველოსიპედი რომ არ დაზიანებოდა. სანამ იგი თვალს ცვლიდა, ძირითადი ჯგუფი დაეწია „გაქცეულებს".

მეორედ 12-კაციანმა ჯგუფმა გადაწყვიტა დაწინაურება: ეს მოხდა ანანურთან მოხვევის შემდეგ. ასეთ მრავალრიცხოვან და კომპაქტურ ჯგუფს, რომელშიც რბოლის ლიდერებიც იყვნენ, ცხადია, უპირატესობის შენარჩუნების მეტი საშუალება ჰქონდა და იგი გარკვეულ მომენტამდე ინარჩუნებდა კიდეც უპირატესობას, მაგრამ ჯვრის მონასტრის მისადგომებთან დაწინაურებულებს ძირითადი ჯგუფი დაეწია.

ყველაფერი ჯვრის მონასტრის აღმართზე გაირკვა. გენადი გოდუნოვმა (ასკ, თბილისი) ძალები ფინიშისათვის შემოინახა და საკონტროლო ხაზი პირველმა გადაკვეთა. ამ თავისებურ სპრინტერულ რბოლაში ფინიშის ხაზთან მეორე ხერსონის „ტრუდის" წარმომადგენელი მიხეილ კნიაზევი მივიდა, მესამე იყო ლატვიის პირველი გუნდის წევრი ძინტარს უდრინში. მსაჯთა კოლეგიამ სამივე ველოსიპედისტს ერთნაირი დრო დააფიქსირა — 3:38.08.

ეტაპზე გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. ლატვია I — 11:00 46, 2. „განთიადი" — 11:06.56, 3. „ტრუდი" (ხერსონი) — 11:07.49.

ოთხი ეტაპის შემდეგ ლიდერებს შორის დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს. პირველ ადგილს კვლავ კონკურსგარეშე მოასპარეზე გენადი გოდუნოვი ინარჩუნებს — 9:23.49. მის კვალში დგანან მიხეილ კნიაზევი — 9:23.55 და ლატვიის პირველი გუნდის წარმომადგენელი აივარ სკუტელისი — 9:24.23.

გუნდურ ჩათვლაში ლატვიის ველოსიპედისტთა კოლექტივი დაწინაურდა — 28:19.51. მას თბილისის „განთიადი" თითქმის 10 წუთით ჩამორჩება — 28:29.28. მესამე ადგილს ხერსონის „ტრუდის" წარმომადგენლები ინარჩუნებენ — 28:33.52.

## კალათბურთის სამყაროში

# საუკეთესო პროფესიონალები

გამოქვეყნდა ნბა-ს (კალათბურთის ეროვნული ასოციაცია) 1986 წლის სეზონის სტატისტიკური მონაცემები. „ოლ-სტარზის" შემადგენლობაში დაასახელეს შემდეგი კალათბურთელები: პირველი ხუთეული — დომინიკ უილკინსი („ატლანტა ჰოუქსი"), ადრიან დენტლი („უტა ჯაზი"), ალექს ინგლიში („დენვერ ნაგიტსი"), ლარი ბერდი („ბოსტონ სელტიქსი"), პურვის შორტი („გოლდენ სტეიტ უორიორსი"); მეორე ხუთეული—კიკი ვანდევეგე („პორტლენდ ტრეილ ბლეიზი"), მოუზეს მელოუნი („ფილადელფია 76"), აკიმ ოლაჯუონი („ჰიუსტონ როკეტსი"), მიკი მიტჩელი („სანანტონიო სპურსი"), უოლდ ფრიი („კლივლენდ კავალიერსი").

საუკეთესო სნაიპერთა ხუთეული: სტივ ჯონსონი („სან-ანტონიო სპურსი"), არტის გილმორი („სან-ანტონიო სპურსი"), ლარი ნანცი („ფელიქს სანზი"), ჯეიმზ უორთლეი („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი"), კევინ მაკჰალეი („ბოსტონ სელტიქსი").

საჯარიმო სროლების საუკეთესო შემსრულებლები: ლარი ბერდი, კრის მულინი („გოლდენ სტეიტ უორიორსი"), მიკი გმინსკი („ნიუ ჯერსი ნეტსი").

ყველაზე მეტი საგოლე გადაცემა შეასრულა მეჯიკ ჯონსონმა („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი"); მეორეა ისია ტომასი („დეტროიტ პისტონსი"), მესამე — რეჯი თეუსი („საკრამენტო კინგზი").

ფარიდან ასხლეტილი ბურთებისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს: ბილი ლამბიერმა („დეტროიტ პისტონსი"), ჩარლზ ბარკლეიმ („ფილადელფია 76"), ბრუკ უილიამსმა („ნიუ-ჯერსი ნეტსი").

**მერაბ კალანდაძე.**

## თასი „ტრეისერმა" მოიპოვა

**ლოზანა.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი კალათბურთში ვაჟთა შორის მილანის „ტრეისერმა" მოიპოვა. სუპერფინალურ მატჩში მან ისრაელის „მაკაბი" დაამარცხა — 71:69 (33:36).

გამარჯვებულთა შორის თავი გამოიჩინეს რობერტო პრემიერმა (21 ქულა) და ორმა ამერიკელმა კალათბურთელმა კენ ბარლოუმ (20 ქულა) და ბობი მაკადუმ (19 ქულა).


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი ჭილაია

სპორტის ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გიორგი ნესტორის ძე ჭილაია.

გიორგი ჭილაია 1917 წელს დაიბადა. პროფესიით ფიზიკოსმა სიცოცხლის დიდი ნაწილი ქართული სპორტის სამსახურს შეალია. იგი იყო სპორტის ოსტატი ტანვარჯიშში.

1946 წელს გიორგი ჭილაია დაინიშნა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროს მასწავლებლად. 1948-1964 წლებში საქართველოს სპორტკომიტეტში მუშაობდა მთავარ მწვრთნელად. 1967 წელს სათავეში ჩაუდგა სტუდენტთა სპორტს — სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს. შემდეგ კი სხვადასხვა დროს განათლების სამინისტროს სისტემაში მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე.

გ. ჭილაია პრინციპული კომუნისტისა და სპორტის კვალიფიციური სპეციალისტის რეპუტაციით სარგებლობდა.

გულისხმიერი მეგობრისა და აღმზრდელის ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულში, ვისთვისაც მას ცოდნა-გამოცდილება და გულის სითბო უწილადებია.

**საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია.**

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია.** 4 აპრილი. დილის დაჭურვა — 8.00 (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 9.35 (2); სტადიონი ყველასათვის — 11.35 (2).

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 5 აპრილი. ოქროყანის სპორტული ბაზა. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მერცხალი" (მახარაძე). დასაწყისი 14 ს.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

# ჰიმალაი „გაძვირდა"

შვეციის ალპინისტები კარგა ხანია ემზადებიან მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის ევერესტის დასალაშქრავად, მათი სამზადისი უკვე ექვსი წელია გრძელდება.

ალპინისტები კი მზად არიან, მაგრამ ძალზე გაძნელდა ექსპედიციისთვის საჭირო თანხების შეგროვება. მთამსვლელთა ჯგუფს სათავეში ჩაუდგა ცნობილი შვედი სპეციალისტი აბე ვალუნდი, რომელმაც ეკონომიის მიზნით გადაწყვიტა ვარჯიში თავის ქვეყანაში აწარმოოს. და, მაინც ექსპედიციას სახსრები არ ყოფნის ნეპალში გასამგზავრებლად.

ზაფხულის დასაწყისს შვეციის მთამსვლელები 29 კაცის შემადგენლობით ჩავლენ ნეპალში და თითქმის მაშინვე შეუდგებიან ევერესტზე ასვლას. შვედები ჩქარობენ, ვინაიდან გაზეთებში რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ჰიმალაი „ძვირდება", ნეპალის მთავრობას განზრახული აქვს მნიშვნელოვნად გაზარდოს ჰიმალაის მთებში ასვლის ფასი. წერენ, მაგალითად, რომ ევერესტზე ასვლა ეღირება 2750 დოლარი, გაიზარდა სხვა მწვერვალთა ფასიც — 550-დან 2182 დოლარამდე, „საიდუმლო ასვლები" კი ჰიმალაის მწვერვალებზე ნეპალის კანონებით აკრძალულია. დიდი თანხით დააჯარიმეს ორი დასავლეთგერმანელი ალპინისტი და ნეპალის საზღვრებში ყოფნა ხუთი წლით აუკრძალეს, ვინაიდან შარშან ზაფხულში ისინი უნებართვოდ ავიდნენ ჰიმალაის ერთ-ერთ 8-ათასიან მწვერვალზე.

საერთაშორისო ალპინისტური წრეების საყოველთაო ყურადღება მიიპყრო იაპონიის გაზეთებში გამოქვეყნებულმა ცნობამ. აქაურმა ქიმიკოსებმა გამოიგონეს სპეციალური ქსოვილი, რომლისაგანაც მთამსვლელებს ტანსაცმელს შეუკერავენ და ტემპერატურა რომ მინუს 50 გრადუსამდეც დაეცეს, ადამიანი არ გაიყინება. ეს ახალი ალპინისტური ტანსაცმელი უკვე გამოსცადეს იაპონიის ლაბორატორიებში.



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

(წერეთლის გამზირი № 2)

**7 აპრილი ⊙ ფეხბურთი**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო" (თბილისი) — „ქაირათი" (ალმა-ათა)**

დასაწყისი 19 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები სტადიონის სალაროებში გაიყიდება 4 აპრილიდან, ორგანიზაციებში — 6 აპრილიდან. აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

სალაროები ღიაა 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096. თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:** სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, წერილების განყოფილება — 93-97-55, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06858